თებერვალი 2022
[No.02] WWW.BDO.GE

საკანონმდებლო მაცნე

მეთოდური მითითებები საგადასახადო ვალდებულებების შესახებ
გადასახადების ადმინისტრირება

ვრცლად

ცვლილება ბრძანებაში

ცალკეულ შემთხვევებში პირის საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრა – სალაროში ნაღდი ფულის შესახებ

2022 წლის 14 იანვარს გამოქვეყნდა შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება #42109 (30.12.2021), რომლითაც ცვლილება შევიდა შემოსავლების სამსახურის უფროსის 2019 წლის 8 ივლისის #22708 ბრძანებაში „ცალკეულ შემთხვევებში პირის საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის მიზნით მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“. ცვლილების შედეგად აღნიშნულ ბრძანებას დაემატა დანართი #9 „სალაროში ნაღდი ფულის შესახებ“.

აღნიშნული მეთოდური მითითება არეგულირებს საგადასახადო შემოწმებისას საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის სალაროში ნაღდი ფულის ნაშთიდან გონივრული ნაშთის გაანგარიშების და არაგონივრული ნაშთის დაბეგვრის საკითხებს. ამ მეთოდური მითითების მიზანია საგადასახადო შემოწმებისას სალაროში ნაღდი ფულის ნაშთის მიმართ შესაძლო საგადასახადო ვალდებულებების გაანგარიშებისთვის ერთიანი მიდგომების განსაზღვრა, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ საგადასახადო ორგანოს წარმომადგენლებმა.

ზემოთ აღნიშნული ცვლილების გამო, #22708 ბრძანების პირველი პუნქტიდან გაუქმდა „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები და შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდა მათ საფუძველზე შედგენილი #3 და #4 დანართები, რომლებიც განსაზღვრავდა სალაროს უძრავი ნაშთის დაბეგვრას და ანგარიშვალდებულ პირზე დაფიქსირებული ნაშთის დაბეგვრას. გაუქმება განპირობებული იყო იმით, რომ აღნიშნული დანართებით გათვალისწინებული დებულებების არსებობამ დაკარგა მნიშვნელობა, რადგან ახალი დანართი №9 სრულად ფარავს იმ საკითხებსაც, რაც ამ დანართებში იყო მოცემული, უფრო კარგად განმარტავს რისკის არეებს და დაბეგვრის საკითხებს.

ცვლილება ძალაშია 2021 წლის 31 დეკემბრიდან.

შინაარსი

- ცალკეულ შემთხვევებში პირის საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრა – სალაროში ნაღდი ფულის შესახებ
- დეკლარაციების წარუდგენლობა

დეკლარაციების წარუდგენლობა

2022 წლის 28 იანვარს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №18, რომლის მიხედვითაც ცვლილებები შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში. ერთ-ერთი ცვლილების თანახმად, აღნიშნული ბრძანების 11^1 მუხლს დაემატა მე-9 პუნქტი. მოცემული მუხლი ადგენს გადასახადის გადამხდელის ვალდებულებას შეავსოს გადასახადის გადამხდელის საინფორმაციო ბარათი. ცვლილებით ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები არ ვრცელდება იმ საანგარიშო პერიოდ(ებ)ის მიმართ, რომელშიც გადასახადის გადამხდელი, გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემის მიხედვით, იმყოფება გაკოტრების რეჟიმში ან მიმდინარეობს მისი ლიკვიდაციის პროცესი.

ცვლილებები ასევე განხორციელდა ბრძანების 37-ე, მე-40 და 74-ე მუხლებში. ცვლილებით, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირისთვის საშემოსავლო და მოგების გადასახადის დეკლარაციების წარუდგენლობა აღარ უთანაბრდება ნულოვანი დეკლარაციის წარდგენას. დღგ-ს დეკლარაციის შემთხვევაში ეს ისედაც ასე იყო 2020 წლიდან. ამავე ცვლილებით ასევე განისაზღვრა, რომ სამივე დეკლარაციის შემთხვევაში გამონაკლისად ჩაითვალა ის საანგარიშო პერიოდ(ებ)ი, რომელშიც გადასახადის გადამხდელი, გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემის მიხედვით იმყოფება გაკოტრების რეჟიმში ან მიმდინარეობს მისი ლიკვიდაციის პროცესი.

ასევე, ცვლილების შედეგად, ბრძანების 22^1-ე სავარაუდო დარიცხვის მუხლის მე-3 ნაწილში განიმარტა, რომ სავარაუდო დარიცხვა შეიძლება შეცვლის მაგივრად გაუქმდეს შესწორებითი დარიცხვით არსებული გარემოებების საფუძველზე.

ცვლილება ძალაშია 2022 წლის 29 იანვრიდან.



ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიახლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გამოცემა მოიცავს ინფორმაციას ცვლილებების შესახებ ბრძანებებში მეთოდური მითითებებსა და გადასახადების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით.

მარიამ ხუსკივაძე
MKuskivadze@bdo.ge

მიხეილ ენუქიძე
MEnukidze@bdo.ge

ვრცლად **www.bdo.ge**

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე. გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად. შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.